ონლაინ რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტები
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის ან ID ბარათის) დედანი (უცხო ქვეყნის მოქალაქე - პასპორტის ან პირადობის მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დედანი);
ფოტოსურათი 3x4;
სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი - სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული საქართველოს მოქალაქეებისთვის;
სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი);
არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში, წარსადგენია პირის დაბადების მოწმობა და სავალდებულოა მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.